



## საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

### საკორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 28 თებერვალი, 2022 წელი

დრო: 14:00-16:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

#### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტულუში - ფონდი ლიბერალური აკადემია თბილისი
3. დათო ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი.
4. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. ნუგზარ კოხჩიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
6. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
7. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
8. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
9. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი

#### განსახილველი საკითხები:

- უკრაინაში შექმნილი ვითარება
- სხვა საკითხები

მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე, საკოორდინაციო საბჭომ ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე პროცესები. რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიული თავდასხმების შედეგად ქვეყანაში შექმნილია ურთულესი ვითარება. გარდაცვლილია უამრავი ადამიანი, ბავშვები, ქალები და მოხუცები, დანგრეულია საცხოვრებელი სახლები. უკრაინელები ცხოვრობენ განსაკუთრებულ სტრესულ რეჟიმში. მათ დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში მუდმივად ისმის დაბომბვების ხმები. ამ ვითარების გათვალისწინებით, საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაიხსნება ანგარიში, რომელზეც პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს შეეძლება, შემოწირულობის სახით გადარიცხონ თანხა უკრაინელების დასახმარებლად. აღნიშნული შემოწირულობა გაიგზავნება საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების სახელით.

ინიციატივის ფარგლებში ფორმირდება სამკაცრიანი ჯგუფი, რომელიც კოორდინირებას გაუწევს, პლატფორმის წევრებისგან, შემოწირულობის სახით გადმორიცხულ თანხებს. აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობაში იქნებიან: საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ჩხოზაძე, პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი და თავმჯდომარის მოადგილე - ლაშა ტულუში და მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - დათო ცისკარიძე.

საკოორდინაციო საბჭო, პარალელურ რეჟიმში, შესაძლებლობების მიხედვით, ყოველდღიურ კავშირზე იქნება უკრაინის ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებთან, იმისთვის რომ მათთან კონსულტაციების საფუძველზე გამოიკვეთოს ის საჭიროებები, რომელიც კონკრეტული მომენტისთვის ექნებათ უკრაინელებს.

მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე ასევე იმსჯელეს ასოცირებული ტრიოს ფორმატის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, საერთო განცხადებისა და მხარდაჭერის დაფიქსირების შესახებ.

მსჯელობა გაიმართა ასევე იმ სცენარებზე, რომელიც შეიძლება განვითარდეს როგორც რუსეთში, ისე ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში. მნიშვნელოვანია დასავლეთისა და მთელი ცივილიზებული სამყაროს მხარდაჭერა და დახმარება. ამ საკითხების უფრო დეტალური განხილვისთვის, საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ გაიმართება პირველი სამუშაო ჯგუფის გაფართოებული შეხვედრა, რაც გულისხმობს, რომ მოწვეული იქნება ყველა სამუშაო ჯგუფის წევრი ორგანიზაციები და გაიმართება მსჯელობა რუსეთ-უკრაინაში არსებულ ვითარებაზე, ომის გავლენებზე საქართველოსა და რეგიონზე.

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები, შეიტანენ თავიანთ წვლილს პლატფორმის საქმიანობის მედიაში გაშუქებისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევანჭურაძე



